**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №253**
ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი №**SPA160010509**

ქალაქი ქუთაისი

19 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ,
**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია**
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, მერის მოვალეობის შემსრულებლის **ნოდარ მიქიაშვილი** სახით,
მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: +995 431-24-10-24
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №200122900
**(შემდგომში შემსყიდველი)**

და მეორეს მხრივ,
**შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"**
წარმოდგენილი შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"-ის დირექტორის, **გია კოპალეიშვილის** სახით,
მის: ქ. ქუთაისი, ლესელიძის IŘ. №15
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412676322
ტელეფონის ნომერი: +995 579-20-20-20
ვებ გვერდი: gi-an2011@mail.ru
საბანკო რეკვიზიტი: ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE44BG0000000893166900
**(შემდგომში მომწოდებელი)**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის, **შ.პ.ს. ,,გი-ან 2011"**-ის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ **ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია,** რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ------------------------- შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" -------------------------

## 2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ნეკრასოვის ქუჩის ლუწი ნომრების, ასლანიკაშვილის ქუჩის მე-2 ჩიხის, ყაუხჩიშვილის ქუჩის პირველი ჩიხის და ნინოშვილის ქუჩის მე-3 ჩიხის სანიაღვრე ქსელის და გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი და გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45233110.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 140813 (ასორმოცი ათას რვაას ცამეტი) ლარს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად შეამოწმოს სამუშაოები, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი“ დაუყონებლივ, სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს“ დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი“, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი“.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

## 5. სამუშაოს შესრულების ვადები

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2016 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით.

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, 2016 წლის 23 მაისის ჩათვლით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

6.2 ,,მიმწოდებელმა“ ხარისხის საკონტროლოდ უნდა წარმოადგინოს გამოყენებული ბეტონის ნარევის მარკიანობის ლაბორატორიული დასკვნა.

6.3 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაობის ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს.

6.4 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

6.5 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ----------------------- შ.პ.ს. ,,გი-ან 2011“ -----------------------

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,
ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,
გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,
დ) ექსპერტიზის დასკვნა სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს,
ე) გამოყენებული ბეტონის ნარევის მარკიანობის ლაბორატორიული დასკვნა,
ვ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.–ს ანგარიშფაქტურა.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შემდეგ, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.

7.5 „მიმწოდებლი"–ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 20%–ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი"–ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ვადას (წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ. დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი" ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დააკავებს შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ს, რომლის ნახევარს (2.5%) დააბრუნებს სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი") სამუშაოების საგარანტიო ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი"-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს" აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

## 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება **2 (ორი)** წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------------------- შ.პ.ს. „გი-ან 2011" ----------------------

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სუბკონტრაქტორები

10.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.
10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი (ქვეკონტრაქტი) არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.
12.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

**დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:**

13.3 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, (თვითნებურობის ფაქტის დადგენა მოხდება „შემსყიდველი"-ს მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე პერიოდში) „მიმწოდებელი" გადაიხდის ჯარიმას 84500 (ოთხმოცდაოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ---------------------------- შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" ----------------------------

13.4 ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ვადაგადაცილებულ დღეებზე.

13.5 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს სამუშაოების დასრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

13.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 13.5 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.7 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ გადაიხდის პირგასამტეხლოს, 112600 (ას თორმეტი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

13.8 წინამდებარე ხელშეკრულების 14.3 და 14.7 მუხლებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ გამოიყენება ერთდროულად.

13.9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13.10 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.11 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 13.5 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

## 14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით, გარდა მე-7 მუხლის 7.6 და მე-8 მუხლის 8.1 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია -----------------------------

შ.პ.ს. ,,გი-ან 2011" -----------------------------

| № | სამუშაოების (ობიექტების) დასახელება | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ნეკრასოვის ლუწი ნომრები | 102925.97 |
| 2 | ასლანიკაშვილის მე-2 ჩიხი | 14148.45 |
| 3 | ყაუხჩიშვილი პირველი ჩიხი | 9955.93 |
| 4 | ნინოშვილის მე-3 ჩიხი | 13782.64 |
| | ჯამი | 140813.00 |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი
გ. კოპალეიშვილი

## ნეკრასოვის ქუჩაზე ლუწი ნომრების წინ ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების

### ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების დასახელება | განზ | რაოდ | მასალა | | ხლფასი | | მანქ-მექანიზმები | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | | | | | | |
| 1 | ქვაფენილის მოხსნა მექანიზმების გამოყენებიტ, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა ნაყარში | მ3 | 124.40 | | 0.00 | 0.50 | 62.20 | 0.50 | 62.20 | 124.40 |
| 2 | მექანიზმებით მიუწვდომელ ადგილებში ქვაფენილის (რიყის ქვა ფ-10-15 სმ) მოხსნა ხელით, ნაყარში გადატანით | მ3 | 6.07 | | 0.00 | 0.20 | 1.21 | 0.20 | 1.21 | 2.43 |
| მიწის ვაკისი | | | | | | | | | | |
| 3 | ფერდობებიდან ჩამონატანი თიხნარში არეული გატალახიანებული ქვა-ღორღის მოხსნისა და საგზაო სამოსის ვარცლის მოსაწყობად მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, დატვირთვა 0,25 მ3 ჩამჩის მოცულობით ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე და გატანა ნაყარში | მ3 | 438 | | 0.00 | 0.05 | 21.90 | 0.10 | 43.80 | 65.70 |
| 4 | იქივე ხელით 5% (მიუდგომელ ადგილებში) | მ3 | 44.24 | | 0.00 | 0.05 | 2.21 | 0.10 | 4.42 | 6.64 |
| 5 | პლანირება ავტოგრეიდერით | მ2 | 2488 | | 0.00 | 0.50 | 1244.00 | 0.50 | 1244.00 | 2488.00 |
| საგზაო სამოსი | | | | | | | | | | |
| 6 | საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 20 სმ | მ3 | 497.6 | 0.10 | 49.76 | 0.10 | 49.76 | 0.10 | 49.76 | 149.28 |
| 7 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 6 სმ | მ2 | 2488 | 0.30 | 746.40 | 0.05 | 124.40 | 0.20 | 497.60 | 1368.40 |
| 8 | ბეტონის საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე 16 სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით, ნაკერები შეივსება ბიტუმით | მ2 | 2488 | 19.20 | 47769.60 | 4.90 | 12191.20 | 2.80 | 6966.40 | 66927.20 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | |
| 9 | არსებული სათვალთვალო ჭის სახურავების ამოწევა (დაწევა) და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 10 | 2.00 | 20.00 | 0.50 | 5.00 | 0.50 | 5.00 | 30.00 |
| 10 | ბეტონი მ-300 | მ3 | 1.5 | 80.00 | 120.00 | 0.50 | 0.75 | 0.50 | 0.75 | 121.50 |
| | ჯამი | | | | | | | | | **71283.54** |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | **7128.35** |
| | ჯამი | | | | | | | | | **78411.90** |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | **6272.95** |
| | ჯამი | | | | | | | | | **84684.85** |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | | | | | **2540.55** |
| | ჯამი | | | | | | | | | **87225.40** |
| | დ.ღ.გ. | 18% | | | | | | | | **15700.57** |
| | სულ ჯამი | | | | | | | | | **102925.97** |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი
გ. კოპალეიშვილი

## ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №

## ქ. ქუთაისში ასლანიკაშვილის ქუჩის II ჩიხის ბეტონის საფარის მოწყობა

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდ | მ ა ს ა ლ ა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | ა) სავალი ნაწილი (საგზაო სამოსი ტიპი I) | | | | | | | | | |
| 1 | არსებული ხრეშოვანი მასის, დაზიანებული ა/ბეტონის საფარის და ქვაფენილის მოხსნა ექსკავატორით $h_{საშ}$=45სმ დატვირთვით 95% | $მ^3$ | 144.1 | | 0.00 | 0.50 | 72.05 | 0.50 | 72.05 | 144.10 |
| 2 | იგივე ხელით 5% | $მ^3$ | 7.6 | | 0.00 | 0.20 | 1.52 | 0.20 | 1.52 | 3.04 |
| 3 | ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში საშუაგოდ 5 კმ მანძილზე | ტ | 280.6 | | 0.00 | 0.50 | 140.30 | 0.50 | 140.30 | 280.60 |
| 4 | საფუძვლის მომზადება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით $h_{საშ}$=20სმ | $მ^3$ | 67.4 | 0.10 | 6.74 | 0.10 | 6.74 | 0.10 | 6.74 | 20.22 |
| 5 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 10სმ | $მ^2$ | 337 | 0.30 | 101.10 | 0.05 | 16.85 | 0.20 | 67.40 | 185.35 |
| 6 | მონოლითური ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით და ნაკერების შევსება ბიტუმით | $მ^2$ | 337 | | 0.00 | 4.90 | 1651.30 | 2.80 | 943.60 | 2594.90 |
| 7 | ბეტონი მ–300 | $მ^3$ | 55 | 80.00 | 4400.00 | | 0.00 | | 0.00 | 4400.00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 1.36 | 1575.00 | 2142.00 | | 0.00 | | 0.00 | 2142.00 |
| 9 | ბიტუმი | ტ | 0.07 | 250.00 | 17.50 | | 0.00 | | 0.00 | 17.50 |
| | ბ) სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | |
| 10 | სათვალთვალო ჭის სახურავების ამოწევე (დაწევა) და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 1 | 2.00 | 2.00 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 3.00 |
| 11 | ბეტონი მ-300 | მ$^3$ | 0.1 | 80.00 | 8.00 | 0.50 | 0.05 | 0.50 | 0.05 | 8.10 |
| | ჯამი | | | | | | | | | 9798.81 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 979.88 |
| | ჯამი | | | | | | | | | 10778.69 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 862.30 |
| | ჯამი | | | | | | | | | 11640.99 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | | | | | 349.23 |
| | ჯამი | | | | | | | | | 11990.22 |
| | დღგ | 18% | | | | | | | | 2158.24 |
| | ჯამი | | | | | | | | | 14148.45 |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი
გ. კოპალეიშვილი

# ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №

## ქ. ქუთაისში ყაუხჩიშვილის ქუჩის I ჩიხის ბეტონის საფარის მოწყობა

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდ | მ ა ს ა ლ ა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | ა) საგზაო სამოსი ტიპი I | | | | | | | | | |
| 1 | არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი მასის, დაზიანებული ბეტონის საფარი, საფუძვლის და ქვაფენილის მოხსნა ექსკავატორით $h_{საშ}$=38სმ დატვირთვით 95% | მ³ | 56.3 | | 0.00 | 0.50 | 28.15 | 0.50 | 28.15 | 56.30 |
| 2 | იგივე ხელით 5% | მ³ | 3 | | 0.00 | 0.20 | 0.60 | 0.20 | 0.60 | 1.20 |
| 3 | ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში საშუაგოდ 5 კმ მანძილზე | ტ | 109.7 | | 0.00 | 0.50 | 54.85 | 0.50 | 54.85 | 109.70 |
| 4 | საფუძვლის მომზადება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით $h_{საშ}$=20სმ | მ³ | 31.2 | 0.10 | 3.12 | 0.10 | 3.12 | 0.10 | 3.12 | 9.36 |
| 5 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 6სმ | მ² | 156 | 0.30 | 46.80 | 0.05 | 7.80 | 0.20 | 31.20 | 85.80 |
| 6 | მონოლითური ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით და ნაკერების შევსება ბიტუმით | მ² | 156 | | 0.00 | 4.90 | 764.40 | 2.80 | 436.80 | 1201.20 |
| 7 | ბეტონი მ–300 | მ³ | 25.5 | 80.00 | 2040.00 | | 0.00 | | 0.00 | 2040.00 |
| 8 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 0.63 | 1575.00 | 992.25 | | 0.00 | | 0.00 | 992.25 |
| 9 | ბიტუმი ნავთობის | ტ | 0.03 | 250.00 | 7.50 | | 0.00 | | 0.00 | 7.50 |
| | ბ) ნიაღვარდამჭერების მოწყობა | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | გრუნტის დამუშავება ხელით ა/თვითმცლელებზე დატვირთვით | მ$^3$ | 1 | | 0.00 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 1.00 |
| 11 | ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში საშუაგოდ 5 კმ მანძილზე | ტ | 1.9 | | 0.00 | 0.50 | 0.95 | 0.50 | 0.95 | 1.90 |
| 12 | ნიაღვარდამჭერი მონოლითური ბეტონის კიუეტის მოწყობა | მ$^3$ | 0.45 | | 0.00 | 4.00 | 1.80 | 2.80 | 1.26 | 3.06 |
| 13 | ბეტონი მ–300 | მ$^3$ | 0.5 | 80.00 | 40.00 | | 0.00 | | 0.00 | 40.00 |
| 14 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 0.02 | 1575.00 | 31.50 | | 0.00 | | 0.00 | 31.50 |
| 15 | ყალიბის ფიცარი | მ$^2$ | 4 | 20.00 | 80.00 | | 0.00 | | 0.00 | 80.00 |
| 16 | ცხაურების მოწყობა ლითონკონსტრუქციებით | ტ | 0.18 | 1200.00 | 216.00 | 200.00 | 36.00 | 50.00 | 9.00 | 261.00 |
| 17 | ფოლადის კუთხოვან 63X63X4 | გრძ/მ | 6.5 | 10.00 | 65.00 | 5.00 | 32.50 | 5.00 | 32.50 | 130.00 |
| 18 | ფოლადის შველერი №6 | გრძ/მ | 24.6 | 20.70 | 509.22 | 5.00 | 123.00 | 5.00 | 123.00 | 755.22 |
| 19 | ლითონსაჭრელი და შესადუღებელი მასალები | კომპლ | 1 | 26.04 | 26.04 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 36.04 |
| 20 | მიწის დამუშავება ხელით მილების ჩაწყობის შემდეგ გრუნტის უკუმიყრა | მ$^3$ | 6.8 | | 0.00 | 0.50 | 3.40 | 0.50 | 3.40 | 6.80 |
| 21 | ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში საშუაგოდ 5 კმ მანძილზე | ტ | 12.6 | | 0.00 | 0.50 | 6.30 | 0.50 | 6.30 | 12.60 |
| 22 | პლასტმასის გოფრირებული მილის Ø200 ჩაწყობა ტრანშეაში, მდ რიონზე ბეტონის ჯებირის გახვრეტა და მილების მიერთება | გრძ/მ | 19 | 28.50 | 541.50 | 2.50 | 47.50 | 1.00 | 19.00 | 608.00 |
| 23 | მილების შეფუთვა მსხვილი ქვიშით | მ$^3$ | 1.9 | 0.50 | 0.95 | 0.50 | 0.95 | 0.50 | 0.95 | 2.85 |
| 24 | ტრანშეას შევსება ქვიშახრეშოვანი ნარევით სისქით 20სმ | მ$^3$ | 3.8 | 0.10 | 0.38 | 0.10 | 0.38 | 0.10 | 0.38 | 1.14 |
| 25 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 6სმ | მ$^2$ | 11.4 | 0.30 | 3.42 | 0.05 | 0.57 | 0.20 | 2.28 | 6.27 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 | მონოლითური ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 10სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით და ნაკერების შევსება ბიტუმით | მ$^{2}$ | 11.4 | | 0.00 | 4.90 | 55.86 | 2.80 | 31.92 | 87.78 |
| 27 | ბეტონი მ–300 | მ$^{3}$ | 1.2 | 80.00 | 96.00 | | 0.00 | | 0.00 | 96.00 |
| 28 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 0.05 | 1575.00 | 78.75 | | 0.00 | | 0.00 | 78.75 |
| 29 | ბიტუმი ნავთობის | ტ | 0.04 | 250.00 | 10.00 | | 0.00 | | 0.00 | 10.00 |
| | გ) ბეტონის კედლი | | | | | | | | | |
| 30 | არსებული ბეტონის საფარისა კედლის გამაგრება მონოლითური რკინაბეტონის სვეთით | მ$^{3}$ | 0.9 | | 0.00 | 10.50 | 9.45 | 2.80 | 2.52 | 11.97 |
| 31 | ბეტონი მ-300 | მ$^{3}$ | 1 | 80.00 | 80.00 | | 0.00 | | 0.00 | 80.00 |
| 32 | ყალიბის ფიცარი | მ$^{2}$ | 5 | 10.00 | 50.00 | | 0.00 | | 0.00 | 50.00 |
| | ჯამი | | | | | | | | | 6895.19 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | 689.52 |
| | ჯამი | | | | | | | | | 7584.71 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 606.78 |
| | ჯამი | | | | | | | | | 8191.49 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | | | | | 245.74 |
| | ჯამი | | | | | | | | | 8437.23 |
| | დღგ | 18% | | | | | | | | 1518.70 |
| | ჯამი | | | | | | | | | 9955.93 |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი

გ. კოპალეიშვილი

## ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №

### ქ. ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენის ქსელის მოწესრიგება და გზის საფარის მოწყობა (ნინოშვილის ქუჩა III ჩიხი-ბეტონის საფარი)

| № | სამუშაოს ჩამონათვალი | განზ. ერთ. | რაოდ | მ ა ს ა ლ ა | | ხელფასი | | ტრანსპორტი მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | ერთეულ ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | I სავალი ნაწილი (საგზაო სამოსი ტიპი I) | | | | | | | | | |
| 1 | არსებული ტალახნარევი ხრეშოვანი მასის, დაზიანებული ბეტონის საფარი, საფუძვლის და ქვაფენილის მოხსნა ექსკავატორით $h_{საშ}$=49სმ დატვირთვით 95% | $მ^3$ | 151.8 | | 0.00 | 0.50 | 75.90 | 0.50 | 75.90 | 151.80 |
| 2 | იგივე ხელით 5% | $მ^3$ | 8 | | 0.00 | 0.20 | 1.60 | 0.20 | 1.60 | 3.20 |
| 3 | ნაშალის გატანა ა/თვითმცლელებით ნაყარში საშუაგოდ 5 კმ მანძილზე | ტ | 295.6 | | 0.00 | 0.50 | 147.80 | 0.50 | 147.80 | 295.60 |
| 4 | საფუძვლის მომზადება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით $h_{საშ}$=20სმ | $მ^3$ | 65.2 | 0.10 | 6.52 | 0.10 | 6.52 | 0.10 | 6.52 | 19.56 |
| 5 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქით 10სმ | $მ^2$ | 326 | 0.30 | 97.80 | 0.05 | 16.30 | 0.20 | 65.20 | 179.30 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | მონოლითური ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16სმ არმირებით, ტემპერატურული ნაკერების მოწყობით და ნაკერების შევსება ბიტუმით | $მ^2$ | 326 | | 0.00 | 4.90 | 1597.40 | 2.80 | 912.80 | 2510.20 |
| 7 | ბეტონი მ–300 | $მ^3$ | 53.2 | 80.00 | 4256.00 | | 0.00 | | 0.00 | 4256.00 |
| 8 | არმატურა დ-8 ა-III (უჯრა 20X20სმ) | ტ | 1.32 | 1575.00 | 2079.00 | | 0.00 | | 0.00 | 2079.00 |
| 9 | ბიტუმი ნავთობის | ტ | 0.07 | 250.00 | 17.50 | | 0.00 | | 0.00 | 17.50 |
| | **II სათვალთვალო ჭები** | | | | | | | | | |
| 10 | სათვალთვალო და სანიაღვრე ჭის სახურავების ამოწევა (დაწევა) და მოყვანა საპროექტო ნიშნულზე | ც | 3 | 2.00 | 6.00 | 0.50 | 1.50 | 0.50 | 1.50 | 9.00 |
| 11 | ბეტონი მ-300 | $მ^3$ | 0.3 | 80.00 | 24.00 | 0.50 | 0.15 | 0.50 | 0.15 | 24.30 |
| | ჯამი | | | | | | | | | **9545.46** |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | **954.55** |
| | ჯამი | | | | | | | | | **10500.01** |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | **840.00** |
| | ჯამი | | | | | | | | | **11340.01** |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 3% | | | | | | | | **340.20** |
| | ჯამი | | | | | | | | | **11680.21** |
| | დღგ | 18% | | | | | | | | **2102.44** |
| | ჯამი | | | | | | | | | **13782.64** |

შ.პ.ს. „გი-ან 2011"-ს დირექტორი

გ. კოპალეიშვილი

## მანქანა მექანიზმების ჩამონათვალი

| № | მანქანა მექანიზმების ჩამონათვალი | რაოდენობა | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|
| | | | საკუთარი | იჯარით |
| 1 | ვიბრო ლარტყის სექცია | 1 | საკუთარი | |
| 2 | ვიბრო დაფა LF100 Honda | 1 | საკუთარი | |
| 3 | ელექტრო კომპრესორი | 1 | საკუთარი | |
| 4 | პრეფერატორი | 1 | საკუთარი | |
| 5 | ბეტონის კვანძი (ქარხანა) | 1 | საკუთარი | |
| 6 | ვიბრორეიკა BT 90 screed saction 1m | 1 | საკუთარი | |
| 7 | ვიბრო რეიკა BT90 screed saction 2m | 1 | საკუთარი | |
| 8 | ვიბრორეიკა BT90screed section 3m | 1 | საკუთარი | |
| 9 | ვიბრატორი BV20g 2.0m | 1 | საკუთარი | |
| 10 | ასფალტის ხერხი ორკა ჰონდა 350/450 | 1 | საკუთარი | |
| 11 | ვიბროდაფა LF100 honda | 1 | საკუთარი | |
| 12 | მოსაპრიალებელი 60 სმ | 1 | საკუთარი | |
| 13 | მოსაპრიალებელი 90 სმ | 2 | საკუთარი | |
| 14 | ავტომტვირთავი /პაგრუზჩიკი | 1 | საკუთარი | |
| 15 | ავტომანქანა ფორდ ტრანზიტი | 1 | საკუთარი | |
| 16 | მინი დამტვირთველი CASE SR200 | 1 | საკუთარი | |
| 17 | ექსკავატორ დამტვირთველი CASE 580 | 1 | საკუთარი | |
| 18 | ვიბრო სატკეპნი LG 400 HONDA | 1 | საკუთარი | |
| 19 | ვიბრო სატკეპნი power trowel level 100 honda 5.5 g*160 | 1 | საკუთარი | |
| 20 | ავტობეტონმზიდი | 3 | | იჯარით |
| 21 | ჰომპა მერსედეი | 1 | | იჯარით |
| 22 | თვითმცლელი | 3 | | იჯარით |
| 23 | მოტოსატკეპნი 1.5ტ. | 1 | | იჯარით |
| 24 | სატკეპნი ham w10 | 1 | | იჯარით |
| 25 | ავტოგრეიდერი | 1 | | იჯარით |

შპს "გი-ან 2011"-ს დირექტორი                    გ. კოპალეიშვილი

გეგმა-გრაფიკი

| № | ობიექტის დასახელება | 1 კვირა | 2 კვირა | 3 კვირა | 4 კვირა | 5 კვირა | 6 კვირა | 7 კვირა | 8 კვირა | 9 კვირა | 10 კვირა | 11 კვირა | 12 კვირა | 6 დღე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეკრასოვის ლუწი ნომრები | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |
| | მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | | | | | | | | | |
| | მიწის ვაკისი | | | | | | | | | | | | | |
| | საგზაო სამოსი | | | | | | | | | | | | | |
| | სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ასლანიკაშვილის მე-2 ჩიხი | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |
| | სავალი ნაწილი | | | | | | | | | | | | | |
| | სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ყაუხჩიშვილის 1-ლი ჩიხი | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |
| | საგზაო სამოსი | | | | | | | | | | | | | |
| | ნიაღვარდამჭერების მოწყობა | | | | | | | | | | | | | |
| | ბეტონის კედელი | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ნინოშვილის მე-3 ჩიხი | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |
| | სავალი ნაწილი | | | | | | | | | | | | | |
| | სათვალთვალო ჭები | | | | | | | | | | | | | |

შპს "გი-ან 2011"-ს დირექტორი	გ. კოპალეიშვილი